

დასავლეთ საქართველოს თასი წყვილთა რბოლაში 2018

რეგლამენტი

დამტკიცებულია სსსფ-ს მიერ
2018 წელი

1. შესავალი
2. ოფიციალური შეჯიბრებების ჩატერების ამოცანები და მიზნები
3. შეჯიბრებების ჩატარების უფლებები
4. შეჯიბრებების სტრუქტურა და კალენდარი
5. სარბოლოტრასა
6. უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა
7. ოფიციალური პირები
8. მოთხოვნები დასავლეთ საქართველოს თასში მონაწილეობის მიღების მსურველების მიმართ
9. დაშვებული ავტომობილები
10. კლასიფიკაცია, შედეგების განსაზღვრა
11. დაჯილდოება
12. პროტესტები და აპელაციები

მუხლი 1. შესავალი

- 1.1. ნამდვილი რეგლამენტი (შემდგომში სსსფ–ს რეგლამენტი) შედგენილია 2018 წლის საავტომობილო სპორტის შეჯიბრებების დებულებების თანახმად და განსაზღვრავს დასავლეთ საქართველოს 2018 წლის ოფიციალური შეჯიბრებების ორგანიზებისა და წარმართვის წესებს სამოყვარულო წყვილთა რბოლაში.
- 1.2. ჩემპიონატის ორგანიზებისა და წარმართვის ნორმატიულ დოკუმენტაციად ითვლება:
 - 1.2.1 სსსფ–ს სპორტული კოდექსი და მისი დანართები;
 - 1.2.2 სამოყვარულო შეჯიბრებების წარმართვის საერთო დებულებები (სსსფ–სა და იმერეთის ავტომობილო კლუბის საერთო დებულებები);
 - 1.2.3 სამოყვარულო შეჯიბრებების ორგანიზებისა და ჩატარების წესები;
 - 1.2.3 სამოყვარულო შეჯიბრებებში მონაწილე ავტომობილები სტექნიკური მოთხოვნები და კლასიფიკაცია;
 - 1.2.4 მოქმედი რეგლამენტი (სსსფ–ს რეგლამენტი) და ამისი დანართი;
 - 1.2.5 ღონისძიების დებულება.

1.3. დასავლეთ საქართველოს თასა ტარდებ ასსფ–სა „იმერეთის ავტო მოტო კლუბის“ გადაწყვეტილებების თანახმად სსსფ–ს მიერ 2018 წლის საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტულ ღონისძიებათა წლიური კალენდარული გეგმის თანახმად.

1.4. მოცემული სსსფ–სა და „იმერეთის ავტომოტო კლუბის“ ძალაშია დამტკიცების მომენტიდან.

მუხლი 2.ოფიციალური შეჯიბრებების ამოცანები დამიზნები;

2.1 დასავლეთ საქართველოს თასის ოფიციალური შეჯიბრებები ტარდება საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად, სპორტული და სარბოლო უნარების ასამაღლებლად, მაყურებელში საავტომობილო დისციპლინებისა და ავტომობილის უსაფრთხოდ მართვის პროპაგანდისათვის.

მუხლი 3. შეჯიბრებების ჩატარების უფლებები

3.1. 2018 წლის დასავლეთ საქართველოს თასის ჩატარების უფლება წყვილთა რბოლაში ეკისრება „იმერეთის ავტომოტო კლუბს“

3.2. სსსფ–სსტრუქტურაში დასავლეთ საქართველოს თასის ჩატარებისას, სპორტული პრინციპებისა და შეჯიბრებების ორგანიზების პასუხისმგებლობა ეკისრება სსსფ–სწრიული რბოლების კომისიას, რომელიც მოქმედებს სსსფ–ს შესაბამის რეგიონალურ განყოფილებებსა და ფედერაციებთან ერთად, სერიის ორგანიზატორებთან (პრომოუტერებთან) და უშუალოდ ღონისძიებების ორგანიზატორებთან ერთად.

მუხლი 4. შეჯიბრებების სტრუქტურა და კალენდარი

4.1. შეჯიბრებების სტრუქტურა

„იმერეთის ავტომოტო კლუბი“ 2018წელს მართავს ოფიციალურ შეჯიბრებებს დასავლეთ საქართველოს თასი წყვილთა რბოლაში, სადაც კლასები არის დაყოფილი შემდეგნაირად:

#	სტატუსი	კლასი	ეტაპების რაოდენობა
1	დასავლეთ საქართველოს თასის მფლობელი	წინა წამყვანი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები (FWD)	3
2	დასავლეთ საქართველოს თასის მფლობელი	უკანა წამყვანი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები (RWD)	3
3	დასავლეთ საქართველოს თასის მფლობელი	ოთხივე წამყვანი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები (AWD)	3
4	დასავლეთ საქართველოს თასის მფლობელი	ანლიმიტედ	3

4.2. კალენდარი

დასავლეთ საქართველოს თასი წყვილთა რბოლაში 2018

ეტაპი	თარიღი	ჩატარების ადგილი
პირველი ეტაპი	25 მარტი	სამტრედია
მეორე ეტაპი	5 მაისი	ქუთაისი
მესამე ეტაპი	30 სექტემერი	ქუთაისი

4.3. ოფიციალური შეჯიბრებები ტარდება ივენთების ბაზაზე, რომელიც ჩართულია სსსფ-ს სპორტული ღონისძიებათა ჩატარების კალენდარული გეგმის შესაბამისი სტატუსით. შეთანხმებული კალენდარი მიეწოდება სსსფ-ს შეჯიბრებების სერიის პრომოუტერის ან ორგანიზატორის მიერ, პრომოუტერის არყოფნის შემთხვევაში ივენთის ორგანიზატორის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია სსსფ-ს წინაშე ივენთის ჩატარებაზე.

4.4. კალენდარში შეტანილი ცვლილებები ქვეყნდება საიტზე - www.GASF.CO დანაყოფში „კალენდარი“.

მუხლი 5. სარბოლო ტრასა

5.1. შეჯიბრებების ჩატარების ტრასა უნდა ექვემდებარებოდეს სსსფ-ს მოთხოვნებს.

5.2. შეჯიბრების დაწყების წინ, სსსფ-ის მიერ ორგანიზატორის მიერ დანიშნული ტრასის და უსაფრთხოების კომისრები ვალდებული არიან შეამოწმონ ტრასის მზადყოფნა და მისი შესაბამისობა ტრასის პასპორტთან. შემოწმებების შედეგებიდან გამომდინარე, დგინდება და ხელი ეწერება ტრასის მიღების აქტს.

მუხლი 6. უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა

6.1. შეჯიბრების ჩატარების დროს უსაფრთხოების დაცვის შესახებ პასუხისმგებლობას ღებულობენ შეჯიბრების ორგანიზატორი, შეჯიბრის ხელმძღვანელი და უსაფრთხოების კომისართან ერთად. შეჯიბრების ხელმძღვანელი უსაფრთხოების კომისარი ვალდებული არიან შეაჩერონ შეჯიბრება თუ არსებობს: მაყურებლის, ოფიციალური პირების, მრბოლელებისა და მონაწილე პერსონალის მიმართ სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საშიშროება.

მუხლი 7. ოფიციალური პირები

7.1. დასავლეთ საქართველოს თასზე სსსფ-ს წერიული რბოლების კომისია ნიშნავს შემდეგ პასუხისმგებელ პირს:

- შეჯიბრების დამკვირვებელი
- შეჯიბრების კომისარი

7.2. დასავლეთ საქართველოს თასზე სსსფ-ს წერიული რბოლების კომისიას შეუძლია დანიშნოს შემდეგი ოფიციალური პირები:

- შეჯიბრების ხელმძღვანელი;
- უსაფრთხოების კომისარი;
- ტექნიკური კომისარი;

მუხლი 8. მოთხოვნები დასავლეთ საქართველოს თასში მონაწილეობის მიღების მსურველების მიმართ

8.1. დასავლეთ საქართველოს თასში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან შემდეგი პირები: მრბოლელები რომელთაც გააჩნიათ ავტომობილის მოქმედი მართვის მოწმობა ან სსსფ-ს მიერ გაცემული ეროვნული ან/და საერთაშორისო ლიცენზია.

მუხლი 9. დაშვებული ავტომობილები

9.1. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ავტომობილები, რომლებიც შეესაბამებიან სსსფ-ს 2018 წელს მიღებულ დასავლეთ საქართველოს თასის ტექნიკურ მოთხოვნებს;

9.2სავალდებულო და არასავალდებულო რეკლამისგან თავსების პირობები ცხადდება ორგანიზატორის მიერ ეტაპის დებულებით.

9.3. ავტომობილებზე გამოიყენება ის საბურავები რომლებიც დაშვებულია შეჯიბრის დებულების მიხედვით.

მუხლი 10. შეჯიბრების ჩატარების პირობები, კლასიფიკაცია, შედეგების განსაზღვრა

10.1. დასავლეთ საქართველოს თასი წყვილთა რბოლაში ტარდება პირად ჩათვლაში, მუხლი 4.1. შესაბამისად.

10.2. დასავლეთ საქართველოს თასი წყვილთა რბოლაში ჩაითვლება შემდგარად იმ შემთხვევაში თუ ფაქტიურად შედგება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული კალენდარული გეგმით გათვალისწინებული (კონკრეტულ სახეობაში და კლასში) შეჯიბრების მინიმუმ 70%.

10.3. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმდებარე ითვლება მრბოლელი, რომელმაც მიიღო რბოლის სტარტი.

10.4. დასავლეთ საქართველოს თასის ჩატარების პირობები:

10.4.1 თითოეული ეტაპი შედგება 4 ჩათვლითი ჯგუფისაგან:

- წინა ამბრავი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები - FWD
- უკანა ამბრავი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები - RWD
- ოთხივე ამბრავი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები - AWD
- ანლიმითედ კლასი

10.4.2 თითოეულ კლასში (FWD, RWD, AWD) დაიშვებიან ამ კონკრეტული კლასისათვის განკუთვნილი ავტომობილები მუხლი 9-ის შესაბამისად და პილოტები რომლებსაც არ გააჩნიათ სსსფ-ის მიერ გაცემული მოქმედი მრბოლელის ლიცენზია.*

10.4.3 ანლიმითედ კლასში დაიშვებიან:*

- პილოტები სსსფ-ის მიერ გაცემული მოქმედი მრბოლელის ლიცენზიით;
- მიმდინარე ეტაპზე გამარჯვებულები ჩათვლით ჯგუფებში - FWD, RWD, AWD;
- ნებისმიერი მონაწილე, რომელიც დარეგისტრირდება „ანლიმითედ კლასში“

10.5 ავტომობილების განლაგება სასტარტო ბადეზე განმარტებული იქნება კონკრეტული ეტაპის დებულებაში (შესაძლებელია სხვადასხვა ჩათვლითი ჯგუფებისათვის იყოს სასტარტო ბადეზე განლაგების სხვადასხვა სისტემა);

10.6 მონაწილეების ვარჯიში გათვალისწინებული იქნება კონკრეტული ეტაპის დებულებაში;

10.7 მრბოლელებს, ყოველი ეტაპის შემდეგ, თითოეულ ჩათვლით ჯგუფში ერიცხებათ ქულები დაკავებული ადგილების შესაბამისად:

პირველი ადგილი - 5

მეორე ადგილი - 4,5

მესამე ადგილი - 4

მეოთხე ადგილი - 3

მეხუთე-მერვე ადგილი 2,5 ქულა

10.11. ერთნაირი ქულების დროს, ორი ან რამოდენიმე მრბოლელის შემთხვევაში ადგილები ნაწილდება შემდეგნაირად:

10.11.1. ეტაპების რაოდენობიდან გამომდინარე ვისაც უფრო მეტი პირველი ადგილი აქვს დაკავებული, იმ შემთხვევაში თუ ეს მაჩვენებელი თანაბარია მაშინ ვისაც უფრო მეტი მეორე ადგილი აქვს დაკავებული და ასე შემდეგ.

10.11.2. შემდგომი თანასწორობის შემთხვევაში (თუ 10.11.1 პინქტის მიხედვით ვერ გამოვლინდა გამარჯვებული) უკანასკნელი რბოლის საუკეთესო შედეგის მიხედვით.

10.12. მიმდინარე მდგომარეობის და საბოლოო შედეგების დათვლის პროცესს აწარმოებს სსსსფ.

10.13. თითოეულ კლასში ავტომობილების მინიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 4 ავტომობილით.

მუხლი 11. დაჯილდოება

11.1. მრბოლელმა, რომელმაც დააგროვა დასავლეთ საქართველოს თასში, მის ჩათვლით ჯგუფში, ყველაზე მეტი რაოდენობის ქულები ენიჭებათ 2018 წლის დასავლეთ საქართველოს თასის მფლობელის წოდება სამოყვარულო წყვილთა რბოლაში, მე-2 დამე-3 ადგილების მფლობელებს – დასავლეთ საქართველოს თასის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები.

მუხლი 12. პროტესტი, აპელაცია

12.1. ნებისმიერი პროტესტის განცხადება ექვემდებარება სსსფ–ს სპორტული კოდექსის მოთხოვნებს და თან ახლავს თანხობრივი შესატანი, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ეტაპის დებულებით.

12.2. იმ შემთხვევაში, როდესაც მაპროტესტებელი პირი არ ეთანხმება შეჯიბრების ხელმძღვანელის ან/და შეჯიბრების კომისრის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, მას აქვს უფლება შეიტანოს აპელაცია სსსფ–ში. სსსფ–ში აპელაციის შეტანას განსაზღვრავს სსსფ–ს კოდექსი.

***მოყვარულებში აკრძალულია სპორტული საბურავი სლიკი და პოლუსლიკი (ნახევრადსპორტული) ყველა ტიპის სპორტული საბურავი, ასევე ავტომობილი რომელიც იქნება არაქარხნულ მდგომარეობაში (დაშლილი-დადუგული) ტექ.კომისრის გადაწყვეტილებით**

• მონაწილის მიღწევებიდან ან მისი გამოცდილებიდან გამომდინარე თითოეული მონაწილე გადადის ანლიმითედ კლასში, თითოეული მონაწილე რომელიც საპრიზო ადგილას გავიდა შვიდჯერ, ავტომატურად გადადის ანლიმითედ კლასში დაშვებულია ყველა ტიპის საბურავი, შეჯიბრების მონაწილეები დაწყვილდებიან კვალიპიკაციის საფუძველზე შეჯიბრების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.

“